საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 0 19 02604003

01/10/2019

შპს „თბილისი ლამ“-ის დირექტორს
ბატონ არჩილ ჯიჯავაძეს

ბატონო არჩილ,

თქვენი 2019 წლის 01 ოქტომბრის N10-001 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა N38, ბაღნარის ქუჩა N2ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.04.017.127) ასაშენებელი საწყობის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ საწყობის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის NMIA01902550968 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხი, რომელთა პროექტები **სამ თვეში** წარმოდგენილი უნდა იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ